17.	ჯიხანჯური 1.3 (წიდა)	IX-VIII	40,5	18,4	10,6	1,30	1,90	2,30	9,90	0,80	0,25	0,25	0,15	1220
18.	ჯიხანჯური 3.1 (წიდა)	X-IX	36,5	24,3	20,7	0,42	1,50	3,25	6,70	0,95	0,45	0,20	0,20	1230
19.	ცეცხლაური 1.1 (წიდა)	IX-VIII	35,2	38,6	12,1	0,60	1,45	2,50	5,45	0,65	0,30	0,20	0,15	1220
20.	ცეცხლაური 1.1 (წიდა)	IX-VIII	32,5	35,2	20,5	0,30	3,20	1,90	3,40	0,75	0,40	0,25	0,20	1215
21.	ასკანა 4.1 (წიდა)	X-IX	29,7	25,2	19,7	0,35	2,15	1,25	3,80	0,60	0,35	0,20	0,15	1190
22.	ჭოღა 2.1 (წიდა)	X-IX	35,4	30,3	15,9	0,50	1,55	3,20	6,70	0,15	-	0,30	0,25	1230
23.	ჭოღა 2.1 (წიდა)	X-IX	33,6	29,0	19,5	0,40	1,25	2,20	7,25	0,20	0,10	0,25	0,15	1220
24.	პარნაფი (შეღვს.)	X-VIII	53,1	5,55	3,70	0,30	1,10	8,10	18,3	0,40	0,20	-	-	1435
25.	პარნაფი (ამონაბი)	IX-VIII	49,8	9,50	3,60	0,45	1,15	9,20	16,4	0,30	-	-	-	1425
26.	ცეცხლაური (შეღვს.)	IX-VIII	54,7	11,5	2,40	0,15	3,50	10,5	13,9	0,20	-	-	-	1450

ცხრილი 3.8 (გაგრძელება)

№	ნიმუშის აღმოჩენის ადგილი	თარიღი	ქიმიური შედგენილობა, %											ღრობის ტემპერატურა, °C		
			SiO ₂	FeO	Fe ₂ O ₃	MnO	MgO	CaO	Al ₂ O ₃	TiO ₂	V ₂ O ₅	P ₂ O ₅	SO ₃			
27.	ცეცხლაური (ამონაბი)	IX-VIII	51,8	6,40	4,20	0,20	5,70	9,40	18,4	0,15	-	-	-	-	-	1420
28.	ჭოღა (შელესილობა)	X-IX	50,9	7,30	5,40	0,20	4,90	8,35	17,3	-	-	-	-	-	-	1400
29.	ჭოღა (ამონაბი)	X-IX	53,1	2,17	8,50	0,30	4,20	3,15	20,7	-	-	-	-	-	-	1440
30.	ჭარნალი 12 (წიდა)	VIII-VII	34,5	25,4	10,7	0,40	1,20	5,10	8,40	0,65	0,40	0,20	0,15	0,15	0,15	1230
31.	ჭარნალი 2.1 (წიდა)	VIII-VII	42,1	24,7	11,3	0,30	0,80	1,40	6,40	0,50	0,25	0,30	0,10	0,10	0,10	1250
32.	ჭარნალი 2.2 (წიდა)	VIII-VII	30,2	30,5	10,5	0,40	1,75	1,90	5,40	0,45	0,20	0,25	0,15	0,15	0,15	1185
33.	ჭარნალი 2.2 (წიდა)	VIII-VII	41,3	13,6	10,9	0,35	0,90	1,30	4,30	1,10	0,45	0,20	0,20	0,20	0,20	1240
34.	ჭარნალი 3.2 (წიდა)	VIII-VII	24,6	27,9	20,2	0,30	1,40	1,45	5,35	0,85	0,40	0,25	0,20	0,20	0,20	1150
35.	ჯიხანჯური 2.1 (წიდა)	VIII-VII	40,6	19,3	10,5	0,30	2,30	1,20	10,4	0,75	0,40	0,20	0,15	0,15	0,15	1245
36.	ჯიხანჯური 2.1 (წიდა)	VIII-VII	30,7	35,3	11,3	0,40	3,10	2,40	7,30	0,70	0,30	0,15	0,15	0,15	0,15	1180
37.	ჯიხანჯური 4.1 (წიდა)	VIII-VII	27,3	32,8	20,2	0,30	1,60	2,10	11,40	0,50	0,25	0,20	0,10	0,10	0,10	1160
38.	ასკანა 2.1 (წიდა)	VIII-VII	31,1	30,5	10,5	0,25	1,70	1,90	5,40	0,20	0,15	0,20	0,15	0,15	0,15	1185
39.	ასკანა 2.1 (წიდა)	VIII-VII	28,5	29,9	20,2	0,35	1,50	1,45	5,30	0,35	0,10	0,15	0,15	0,15	0,15	1160
40.	ჭარნალი (შელეს.)	VIII-VII	49,2	7,30	5,80	0,40	1,30	7,10	12,2	0,20	0,15	-	-	-	-	1450
41.	ჭარნალი (ამონაბი)	VIII-VII	51,4	11,1	6,50	0,35	3,40	6,70	10,9	-	-	-	-	-	-	1450
42.	ჯიხანჯური (ამონაბი)	VIII-VII	50,3	12,3	11,5	0,40	2,45	5,45	9,20	-	-	-	-	-	-	1450
43.	ასკანა 3.3 (წიდა)	ანტიკური	29,7	28,1	20,0	0,30	1,30	1,50	6,30	0,60	0,25	0,25	0,15	0,15	0,15	1160
44.	ასკანა 3.3 (წიდა)	ანტიკური	32,8	33,4	14,3	0,35	2,10	1,30	3,90	0,25	0,10	0,20	0,20	0,20	0,20	1185
45.	ასკანა (ამონაბი)	ანტიკური	57,5	2,70	5,50	0,20	1,30	4,40	20,3	-	-	-	-	-	-	1450

არსებული ზედმეტად გადახურებული წილის მასა მადნისა და აღდგენილი რკინის ნაწილს ფარავს. ორივე შემთხვევაში ფერხდება აღდგენის პროცესი, აღუდგენელი მადნის ნაწილი და წარმოქმნილი ლუგვი რკინის მარცვლები წიდაში ხვდება. ამდენად, ტექნოლოგიური რეჟიმით განსაზღვრულ ძირითად დანაკარგებს ქურის სამუშაო სივრცეში არასრული აღდგენითი პროცესით და ნაკლებად რეგულირებული აწიდვის მექანიზმით გამოწვეული დანაკარგებიც ემატება.

წარმოების წილების მიკროსტრუქტურულ-პეტროგრაფიული და ქიმიური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით დგინდება, რომ ამიერკავკასიის რეგიონში ფუნქციონირებადი რკინის წარმოების ცენტრები იყენებდა კარგად გამდიდრებულ მადანს. წილები შედგება მინისებრი მასისაგან, შეიცავს ძირითადად ფაიალიტს, რომელსაც ემატება მადნეულ ელემენტთა ოქსიდები. წილების სტრუქტურა უმეტესად შემცველი მინერალების ოპტიმალურ-ტემპერატურული კრისტალიზაციის პირობებშია წარმოქმნილი (სურ. 3.31). წიდაში ჭარბი ფაზა-რკინის ოქსიდი მარცვლების ან დენდრიტების სახითაა გამოყოფილი, მათი ორიენტაცია არათანაბარია და განივკვეთის განუსაზღვრელ ფართობს მოიცავს. შესწავლილი წილების ღნობის ტემპერატურა $FeO-Al_2O_3-SiO_2$ ოქსიდთა სამკომპონენტო წონასწორული სისტემის ევტექტიკური ტემპერატურის შესაბამისია (Тавадзе и др., 1984).

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილმა რკინის წარმოების წილების ანალიზმა გამოამჟღავნა მეტალურგიული პროცესის ის ლოკალური ასპექტები, რომლებიც უშუალოდ მეტალურგიული კერის (ქურის) ფუნქციონირების სხვადასხვა პერიოდს უკავშირდება: 1. ადრეული კონსტრუქციის (ძვ. წ. XII-X სს.) ღუმელისათვის დამახასიათებელია მადნისა და რკინის მასის შედარებით დიდი დანაკარგი. წარმოების წიდას გარკვეული რაოდენობით აღუდგენელი მადნის ნაწილი (FeO ფრაქცია) მიჰყვება და სტრუქტურულად ჭარბი რკინის ოქსიდის (ვიუსტიტის) დენდრიტებითაა გამოსახული. ამასთან შეიმჩნევა წილის მასაში აღდგენილი რკინის მარცვლების ჩანართებიც (ცხრ. 3.8 ანალიზი №1-6, 13-16; სურ. 3.31.2); 2. მომდევნო პერიოდის წარმოების წილები (ძვ. წ. X-VIII სს.) ხასიათდება რკინის ოქსიდების მცირე დანაკარგით, ოპტიმალურია სხვა მინერალთა ჟანგეულების შემცველობაც. აღდგენილი რკინის დანაკარგი თითქმის არ აღინიშნება (ცხრ. 3.8 ანალიზი №18-20, №21-23; სურ. 3.31.5).

შავიზღვისპირა მაგნეტიტური ქვიშების გამოყენების შემთხვევაში, წარმოების წილები განსხვავდება ქიმიური შედგენილობით, სადაც გაზრდილი რაოდენობით

გვხვდება ტიტანი და ვანადიუმი, რომელთა თანაობა მაგნეტიტური ქვიშების ფრაქციისათვისაა დამახასიათებელი ($TiO_2 = 0,45 - 1,10 \%$; $V_2O_5 = 0,20 - 0,45 \%$).

შავიზღვისპირა დიუნებზე განლაგებული სადგომების არქეოლოგიურმა შესწავლამ, ზღვისპირა მაგნეტიტური ქვიშების მოპოვება-გადამუშავებასთან დაკავშირებული ობიექტები გამოავლინა, რომლის მიხედვითაც ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ისინი კოლხეთის წინარეანტიკური ხანის, რკინის მეტალურგიული წარმოების ტექნოლოგიით განსაზღვრული სარეწების ფუნქციას ასრულებდა (რამიშვილი, 1964). ძეგლები განლაგებულია დანალექი მაგნეტიტური მადნის გაგრძელების გასწვრივ, ზღვის სანაპირო ზოლში. შექმნილია გარდამავალი საწარმოო კავშირი, ზღვისპირა ნედლეულის მოპოვება-დამუშავების ობიექტებსა და ზღვიდან რამდენადმე დაშორებულ, რკინის მეტალურგიული წარმოების კერებს შორის.


აღნიშნული მონაცემებით, ზღვისპირა დიუნური დასახლებები მაგნეტიტური ქვიშების ძირითად გადამამუშავებელ ობიექტებად წარმოგვიდგება, სადაც ქვიშნარი რკინის მადნების ფლოტაციით გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესი სრულდებოდა. აღნიშნული საწარმოო სქემა თავისთავად სახიერს ხდის ფსევდოარისტოტელეს ცნობებს, ხალიბური წესით რკინის მაგნეტიტური ქვიშების წყლით დამუშავების შესახებ.

შავიზღვისპირა ქვიშების გამდიდრებული მასა, როგორც მზა რკინის მადანი, შესაძლებელია წვრილი ფრაქციის ფხვნილის ან შეცხობილი, ერთგვაროვანი კონცენტრატის სახით გამოეყენებინათ. პირველ შემთხვევაში, დნობის პროცესში საჭიროა საწვავის (ნახშირის) გაზრდილი რაოდენობა, მეორე შემთხვევაში კი საკმარისია კაზმის ჩვეულებრივი ტემპერატურული რეჟიმით მომუშავე პირდაპირი აღდგენის ღუმელი. როგორც ჰემატიტური და პოლიმეტალური რკინის მადნების გამოყენებისას, ისე მაგნეტიტური მადნის შემთხვევაში, ერთიანი მეტალურგიული ციკლის ორი სქემის განვითარების შესაძლებლობა იქმნება: ფუჭი ქანის აწიღვა – რკინის ლუგვის მიღებით და დანახშირბადიანების პროცესით.

აღდგენის შემდეგ, რკინის ლუგვის გარკვეული ნაწილი დანახშირბადიანებას განიცდის. დრუბლისებრ, ცომისებრ მდგომარეობაში მიღებული შენადული რკინა ყოველთვის ამა თუ იმ რაოდენობით შეიცავს ნახშირბადს. საწარმოო გამოსავალი ერთგვაროვანი, ოპტიმალური ზომის მარცვლოვანი კაზმის შემთხვევაში და აღდგენილი რკინის მასისა და ნახშირბადის ხანგრძლივი ურთიერთქმედებისას მაქსიმალურია. შენადული რკინის ნაწილების შეკვრა საქმენების ზონაში ხდება, სადაც მაქსიმალურად მაღალტემპერატურულ არეში სხვადასხვა ხარისხით

დანახშირბადიანებული რკინა-ფოლადის ნაწილების შეცხოვა-შედუღების პროცესი მიმდინარეობს. მეტალურგიული ღუმლის სამუშაო ზონის სიმაღლის მიხედვით, აღდგენილი რკინის დაფოლადება გარდამავალი ინტენსიურობით მიმდინარეობს: $3Fe + C = Fe_3C$. რკინის ლუგვის გარკვეული ფორმირების შემდეგ, ღუმლის ქვედა ნაწილში, საქშენებსა და ლორფინს შორის ხვდება. მეტალურგიული ციკლის დასრულების შემდეგ რკინის ლუგვის მდებარეობა და მოცულობა ღუმლის კონსტრუქციაზე (ზომებზე), კაზმის ულუფის რაოდენობასა და ქურაში არსებული პირომეტალურგიული პროცესების მიმდინარეობის დინამიკაზე დამოკიდებული (ინანიშვილი, საკვარელიძე, 1987).

ამრიგად, ძველი ცივბერვითი პროცესის მსვლელობა შეიძლება შემდეგი სქემით წარმოვადგინოთ:



რკინის მიღების ცივბერვითი პროცესის მსვლელობის დინამიკა თანამედროვე ექსპერიმენტული მოდელირებით მიღებული შედეგების გათვალისწინებით განიხილება. ძველი პროცესის მოდელირების ფონზე დგინდება ისტორიულ წარსულში შექმნილი ტექნოლოგიური სქემა, იხსნება იმ ტექნიკურ შესაძლებლობათა პარამეტრები, რომლებიც ემპირიული სახით იყო განვითარებული ძველ საწარმოო ციკლში. მათემატიკური სტატისტიკით დამუშავებული, ექსპერიმენტით მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლები, უტყუარ ინფორმაციას გვაწვდის რკინის მეტალურგიული წარმოების ძველი წესის აღდგენისათვის (Круг, 1970; Nosek, 1992).

არქეოლოგიურად მოპოვებული რკინის წარმოების წილების, ქურის შელესვათა და სხვა ნაშთების ქიმიურ-ტექნოლოგიური და პეტროგრაფიულ-სტრუქტურული მონაცემები თანამედროვე ექსპერიმენტით მიღებულ შედეგებთან სრულ შესაბამისობაშია.

ცივბერვითი პროცესის ძირითადი წარმოების პროდუქტი, შენადული რკინის გუნდა (რკინის ლუგვი), მრგვალი ან ოვალურია; ქურიდან ამოღებისა და ცხელი პლასტიკური დეფორმაციით დამუშავების შემდეგ, წილის მასისაგან ნაწილობრივ თავისუფლდება. მოდელირების ექსპერიმენტული მონაცემებით, ერთიანი, მონოლითური ლითონის გუნდის მიღება რთული პროცესია. უპირატესად იქმნება

წილით დაფარული შენადული რკინის მასის ფრაგმენტების შეერთების პირობები (Колчин, Круг, 1965). რკინის ლუგვის ერთიანი მასის მიღების სიძნელისა და წარმოების რთული ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესის შესრულებასთან დაკავშირებული ცნობები დაცულია ეთნოგრაფიულ მონაცემებში, სადაც ცივბერვით ქურაში აღდგენითი პროცესის ფინალური სტადიის, ლითონური რკინის მიღების და შემდგომი დამუშავების ყველა თანამიმდევრული ოპერაციაა აღწერილი (რეხვიაშვილი, 1953).

ცივბერვითი პროცესის პროდუქტი, შენადული რკინის გუნდა ბოლნისიდან ტიპურ ფოროვანი მასაა, დაფარულია წარმოების წილის თხელი ფენით. შენადული რკინა მრგვალი ფორმისაა, საერთო შემოწერილობის ოდნავ დაუსრულებელი ნაწილებით (18,5სმ X 12,0სმ X 11,0სმ) და კარგად დაცული ზედაპირით (სურ. 3.321). მაკროსტრუქტურულად რკინის გუნდა შენადული რკინის მასაა, შესაბამისი ლითონური გულით და დამახასიათებელი სიცარიელებით, რომლებიც წილის ფრაგმენტებით და ხის ნახშირითაა ამოვსებული (სურ. 3.322). რკინის ლუგვის ჭრილის საერთო სქემის მიხედვით, წინასწარი ცხელი პლასტიკური დეფორმაციით დამუშავების შედეგად მიიღება შეკრული ლითონის მონოლითური ბირთვი, რომლის ერთი ნახევარი მაღალტემპერატურული ჭედვით შედუღების კვალს ატარებს, მეორე ნაწილი – ხასიათდება სხვადასხვა ზომის ფორებით და ღრმულებით.

ლითონის მასაში ნახშირბადის განაწილება არათანაბარია, მისი შემცველობა 0,1-0,9% შუალედში იცვლება. ფერიტული ნაწილის მიკროსტრუქტურაზე შეიმჩნევა დეფორმაციის მიმართულებით ორიენტირებული არალითონური ჩანართები (სურ. 3.331,3). მაღალნახშირ-ბადიანი ზონა გადახურებულია, შეიმჩნევა ანომალური სტრუქტურის ელემენტები (სურ. 3.332). მოუწამლავ შლიფზე წარმოდგენილია წაგრძელებული ფორმის, რთული შედგენილობის ჩანართები, რომელთა შინაგანი სტრუქტურა წილების პეტროგრაფიულ-სტრუქტურული სურათის ანალიზური (სურ. 3.333). სპექტრული ანალიზით დადასტურებულია მასში Si, Mn, Mg, Ca, Al მინარევების არსებობა, რომელიც საანალიზო სინჯში არალითონური ჩანართებიდან არის მოხვედრილი. მცირე ცდომილებით იმეორებენ საწარმოო წილების ოქსიდების ელემენტარულ შედგენილობას.

გამოკვლეული რკინის ლუგვის კომპლექსური შესწავლის შედეგები, ძვ. წ. I ათასწლეულით დათარიღებული, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რკინის მეტალურგიული ცენტრების პირველადი საწარმოო კერების ნარჩენი პროდუქტის ანალიზური. განსაკუთრებით შეიმჩნევა შენადული რკინის ტიპური ქიმიური

ერთგვაროვნება (Антейн, 1964; Молонов, 1963), მსგავსი სტრუქტურული სქემა (Пясковский, 1959; Morton, Wingrove, 1970), მიღებული მასალის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების განაწილების ერთტიპური ხასიათი (Naumann, 1964).


ქურაში მიღებული ნახშირბადიანი ფოლადის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გათანაბრების შესაძლებლობის გარკვევის მიზნით ჩატარებულმა ცდებმა ცვალებადი შედეგები აჩვენა. შერჩეული არათანაბარი ნახშირბადის შემცველი ნიმუშები (1. C=0,2-0,5%; 2. C=0,1-0,35%; 3. C=0,4-0,9%), არაერთგვაროვანი წყვეტილი სტრუქტურით, მაღალტემპერატურული ($t=950^{\circ}\text{C}$) დიფუზური მოწვის შემდეგ 3-საათიანი დაყოვნებით, უმეტესწილად საწყის სტრუქტურულ სქემას ინარჩუნებს. დიდი ხნის მაღალტემპერატურული რეჟიმით ($t=1100^{\circ}\text{C}$, $t=8-10\text{სთ}$) და ჭედვა-თერმული დამუშავებით მიღებული ნამზადი ქიმიურად ერთგვაროვანი, გაწონასწორებული სტრუქტურული აღნაგობით ხასიათდება. შესაბამისად, უშუალოდ ქურაში მიღებული ფოლადი ცხელი, მრავალჯერადი პლასტიკური დეფორმაციის შემდეგ გადადის ერთგვაროვან სტრუქტურულ მდგომარეობაში. ვფიქრობთ, რკინის წარმოების ადრეულ ეტაპზე (როდესაც ტიპურია ქურაში მიღებული ნახშირბადიანი ფოლადისგან მზა პროდუქტის დამზადების ფაქტი), არაერთგვაროვანი სტრუქტურის გათანაბრებისა და დიფუზური პროცესების მსვლელობისათვის საჭირო ტემპერატურულ-დეფორმაციული ტექნოლოგიური რეჟიმის შექმნის ემპირიული გამოცდილება არასაკმარისი იყო.

რკინის მაღალი შემცველობის მადნების გამდიდრებისა და წინასწარი მოწვის შემდეგ, კაზმის მიზანშეწონილი პროპორციის შერჩევით, უმჯობესდება მეტალიზაციის პროცესი ($\text{FeO} \rightarrow \text{Fe}$). კარგად შერჩეული ტემპერატურული რეჟიმი ($1100-1200^{\circ}\text{C}$) როგორც ჰემატიტური, ისე მაგნეტიტური მადნის გამოყენების შემთხვევაში, შახტური ღუმლის მაქსიმალურ წარმადობას უზრუნველყოფს.

წინასწარ გამდიდრებული, გამომწვარი და ოპტიმალური მარცვლოვნების მქონე ჰემატიტური მადანი, ქურაში შექმნილი სწორი ტემპერატურული ინტერვალის შემთხვევაში, სტაბილური მეტალიზაციის პროცესის პირობებს ქმნის. აღდგენა-მეტალიზაციის კარგი შესაძლებლობა გააჩნია მაგნეტიტურ-კარიერულ და დანალექი მასის მქონე მადანსაც. მრავალჯერადი გამდიდრება-დანაწევრების შემდეგ როგორც ჰემატიტური, ისე მაგნეტიტური მადნის შემთხვევაში, მეტალიზაციის სავარაუდო ოპტიმალური ტემპერატურა $1100-1150-1200^{\circ}\text{C}$ ინტერვალში იცვლება. ტემპერატურის შემდგომი მომატება მიზანშეწონილია მხოლოდ აღდგენილი, დანახშირბადიანებული რკინის ლუგვის ნაწილების და

წარმოქმნილი წილის ურთიერთგამყოფი ზედაპირის შექმნისათვის. თხევადი ფაზის (წილის) წარმოქმნა „ცივბერვითი“ ალდგენის პირობებში 1150–1250°C ტემპერატურაზე მიმდინარეობს, როდესაც პარალელურად მთავრდება მეტალიზაციის პროცესიც ($\text{FeO} \rightarrow \text{Fe}$). ტემპერატურის შემდგომი მომატება ღუმელში უპირატესად შენადული რკინის ერთ მთლიან მასად შეკვრას და ფორმირებას იწვევს.

რკინის მიღების ცივბერვითი პროცესის კინეტიკური სქემის ბოლო მონაკვეთი ასეთი სახით განიხილება:



არქეოლოგიური რკინის არტეფაქტების დამზადება-დამუშავების ტექნოლოგიური სქემის ანალიზით დასტურდება რკინის ღუმელის მიღების მეტალურგიული პროცესის ემპირიული სიზუსტე და ალდგენის ციკლის ოპერაციათა მიზანშეწონილობა. შენადული რკინისა და ქურის ფოლადის მასალა განსაზღვრავს დამუშავებული ნახევარფაბრიკატის და მზა პროდუქტის ხარისხს, შეზავებულია ჭედვა-ხურების პროცესის ხელფენებასთან.

3.4.2. რკინის მეტალურგიული წარმოების ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე

რკინის მეტალურგიის განვითარების უწყვეტი სურათის წარმოსახვა შესაძლებელი გახდა ამ კატეგორიის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შემდეგ. მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული ქვემო ბოლნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილი რკინის მეტალურგიული სახელოსნოების სახით (გპელიშვილი, 1957-1960 წწ.), სადაც გამოვლენილია წინარეანტიკური, განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების მეტალურგიული წარმოების შესაბამისი მასალა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კოლხეთის რკინის მეტალურგიული ცენტრის ამსახველი არქეოლოგიური მასალა, მოპოვებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონში (ხახუტაიშვილი, 1970-1984 წწ.). გამოვლენილია რამდენიმე ასეული სახელოსნო-ობიექტის შემცველი ოთხი მეტალურგიული კერა, რომელთა ფუნქციონირების პერიოდი მოიცავს ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან ანტიკური ხანის ჩათვლით. აღნიშნული ძეგლებიდან აღმოჩენილი საწარმოო ნარჩენები (ქურები, წილები, საწარმოო აღჭურვილობის კომპლექტი)

სრულად წარმოგვიდგენს ღუმლის კონსტრუქციას და მასში მიმდინარე პირომეტალურგიული პროცესის ტექნოლოგიურ სქემას.

მეტალურგიული სახელოსნოს ძირითადი ნაწილია ქურა, რომლის კონსტრუქცია განსაზღვრავს პროცესის წარმადობას, სახელოსნოს ტექნიკურ აღჭურვილობას და მისი მოქმედების საერთო ხასიათს. მეტალურგიული ღუმლის კონსტრუქციული ელემენტები, მისი მდებარეობა სახელოსნოს სფეროში, გარემო პირობების მიხედვით იცვლება. ძველი ქურა ფუნქციონირებდა მთისწინა ზოლში, საწვავის მარაგის და ცეცხლგამძლე თიხების კარიერების სიტუაციური განლაგების შესაბამისად, აქვე ხდებოდა გამდიდრებული მადნის მიწოდება. მეტალურგიული პროცესის კაზმის პროპორციის მიხედვით არის განსაზღვრული სახელოსნოს პირობებში მადნის და საწვავის მარაგის რაოდენობა. ამასთან, ჰემატიტური მადნის გამოყენებისას, პირველადი გამდიდრების შემდეგ, ის ექვემდებარებოდა მეორადი გამდიდრების და დნობის წინა გამოწვის პროცესს. მაგნეტიტური მადანი და ქვიშები მეტალურგიულ პროცესში შედიოდა მრავალჯერადი გამდიდრების ან სპეციალური შეცხოების შემდეგ (ფოროვანი მასის მქონე კონცენტრატის სახით).

სამხრეთ კავკასიის წინარეანტიკური ხანის მეტალურგიული ღუმელი იყო პრიზმის ფორმის მქონე ნაგებობა, ქვით ამოშენებულ და ცეცხლგამძლე თიხით ამოლესილ ქურასთან ერთად. ღუმელი მუშაობდა ჰაერის ნაკადის ხელოვნური მიწოდებით. მეტალურგიულ კაზმს ქმნიდა ჰემატიტური მადანი და მაგარი ჯიშის ხის (რცხილა, თხმელა) ნახშირი. ღუმელი გათვლილი იყო მრავალჯერადი დნობისათვის და წარმოადგენდა განვითარებული კონსტრუქციის შახტურ დანადგარს (Гзелишвили, 1964. გვ. 32-33; 95-96).

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რკინის მეტალურგიული წარმოების ქურები, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდს განეკუთვნება და აღდგენითი პროცესის რიგი ტექნოლოგიური თავისებურებით ხასიათდება, რაც გამოყენებული კაზმის მრავალფეროვნებით და კონსტრუქციული წყობის ელემენტების ზომების ცვალებადობით იყო განპირობებული. არქეოლოგიურად შესწავლილი ყველა მეტალურგიული ღუმელი ერთტიპურია და წინასწარ შერჩეულ ბორცვზე ან დაქანებულ ადგილზე, მკვრივი თიხის ორმოში ამოშენებული წაკვეთილი პირამიდის ფორმის შახტური დანადგარია. ადრეული პერიოდის ღუმლის 2/3 ამოგებულია ქვით, ქვედა 1/3 ამოლესილია ცეცხლგამძლე თიხით. თიხითვე ამოლესილია ქურის მთლიანი შიგა ზედაპირი (“მშვიდობაურის“ საწარმოო უბანი). მომდევნო პერიოდის ქურების ძირითადი ნაწილი ამოგებულია ქვით და

შელესილია, ქვედი მთავრდება ამოღესილი ნახევარსფეროს ფორმის ღრმულით (“ჯიხანჯურის“ საწარმოო უბნები). ჩრდილოეთ კოლხეთის რკინის მეტალურგიული წარმოების ქურების მთლიანი შიგა სამუშაო ზედაპირი ამოგებულია ქვით და ქვედი ნახევარსფეროს წარმოადგენს (საწარმოო უბანი “ჭოლა“). მეტალურგიული ღუმლის რამდენადმე განსხვავებული ლოკალური კონსტრუქციით წარმოდგენილია სუფსა-გუბაზეულის მეტალურგიული კერა, სადაც ღუმლის მიწისქვეშა ნაწილი ამოგებულია ქვით და ქურის ქვედის მოვალეობას ჰორიზონტალურად განლაგებული ბრტყელი ქვა ასრულებს (საწარმოო უბანი „მზიანი“).

კოლხეთის მეტალურგიული ცენტრის ოთხ საწარმოო კერაზე აღმოჩენილი წინარეანტიკური ხანის ქურები, განვითარებული ტიპის კონსტრუქციის ღუმელია. ჰაერის ნაკადის ხელოვნური მიწოდებით და მყარ მდგომარეობაში წილის მოცილებით. ისინი მრავალჯერად დნობას ასრულებდა. გამოყენებული კაზმის შედგენილობაში ნავარაუდევია ძლიერმერქნიანი ხის ჯიშების (ბზის, მუხის, რცხილის, წიფლის) გადამუშავებით მიღებული საწვავი (Хахутаишвили, 1987. გვ. 190-191; 199-206). კონსტრუქციული ცვლილების ელემენტებით ხასიათდება სუფსა-გუბაზეულის მეტალურგიული კერის შედგენილობაში შემავალი „ასკანას“ საწარმოო უბნის ანტიკური პერიოდის ქურები, სადაც საგრძნობლად მომატებულია ცალკეული ნაწილების ზომები და დნობის პროცესი წილის ხელოვნური გამოშვების ტექნოლოგიური სქემით მიმდინარეობს (განსხვავებით წინარეანტიკური ხანის ქურებისაგან). შესაძლებელია ამ ტიპის ქურები არის გარდამავალი კონსტრუქციის მეტალურგიული ღუმელი წინარეანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ხანის შესაბამისი რკინის წარმოების დანადგართა შორის.

ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ რკინის წარმოების ობიექტებზე ძირითადი დანადგარი მეტალურგიული ღუმელია, რომლის კონსტრუქციასა და მოქმედების პრინციპზე იყო დამოკიდებული მეტალურგიული სახელოსნოს განვითარების და საწარმოო მასშტაბების შესაძლო ზრდის პერსპექტივა. რეგიონში რკინის წარმოების განვითარების ცალკეულ საფეხურს შესაბამისი კონსტრუქციისა და ზომის ღუმელი განეკუთვნებოდა. წარმოების პირობებიდან გამომდინარე, დანადგარი ფუნქციონირებისას განიცდიდა წინასწარ გამიზნულ ლოკალური ხასიათის კონსტრუქციულ ცვლილებებს. მათი რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრა შესაძლებელია უძველესი რკინის წარმოების მეტალურგიულ ციკლში შემავალი ქურების სამშენებლო ელემენტების განხილვის და მათში მიმდინარე საწარმოო პროცესის ანალიზის ურთიერთ-შედარების ფონზე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში რკინის წარმოების ქურების კლასიფიკაციის მოდელი ი. გქელიშვილმა დაამუშავა. ავტორის აზრით, ძველი რკინის მეტალურგიული ღუმლის ასაგებად საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ხუთი ნიშანი: 1. ჰაერის მიწოდების პირობები, 2. ღუმლის სამუშაო ფორმა, 3. სამშენებლო მასალის სახე, 4. წილის მოცილების (გამოყოფის) ხერხი, 5. კონსტრუქციული ტიპი (Гзелишвили, 1964. გვ. 27-28); აღნიშნული მოდელით პრიმიტიული, მარტივი ტიპის ღუმელი გრუნტის ორმოში მოწყობილი თხით შელესილი, სფერული ფორმის, ჰაერის ბუნებრივი გაწოვის პრინციპით მომუშავე ქურაა. რთული კონსტრუქციის ღუმელი კი აერთიანებს გუმბათოვანი ან შახტური ფორმის, კომბინირებული მასალით (ქვა, თიხა-ქვიშა) ამოშენებულ, მიწისზემოთ განლაგებულ, ხელოვნური ჰაერის ნაკადით და კომბინირებული (გამოდნობა, გამოწვის პრინციპი) სქემით მომუშავე დანადგარებს. ი. გქელიშვილის მიერ შემუშავებული, რკინის ცივბერვითი პროცესის საწარმოო ქურათა კლასიფიკაციის სქემა, ზოგიერთი ცვლილების გათვალისწინებით, შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი რკინის მეტალურგიული წარმოების ღუმლების ტექნოლოგიური დახასიათებისათვის.

ცივბერვითი ღუმლის კლასიფიკაციის პირველი ძირითადი ნიშანი ქურის ფორმაა, რკინის მეტალურგიული გადამუშავების დანადგარის არსებითი ნიშნები კი წარმოების წილის მოცილების ხერხი, ქურის სამშენებლო მასალა და ქურის კონსტრუქციული ზომების ცვლილების დინამიკა. ვეთანხმებით რა ბრინჯაოს მეტალურგიის საწარმოო ტრადიციების გაგრძელება-გამოყენებას რკინის პირდაპირი აღდგენის მეტალურგიული ციკლის შექმნისათვის (იგულისხმება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის, გვიანბრინჯაოს ხანის ფერადი ლითონწარმოების ქურათა კონსტრუქციული ფორმების განვითარების შესაძლებლობა – სამშენებლო მასალები, თხევადი წილის გამოყოფის რეჟიმი, ქურის სამუშაო სივრცის ოპტიმალური ზომები და სხვა), რკინის წარმოების ქურების კონსტრუქციული ელემენტების შემუშავებისათვის არარეალურია რკინის წარმოების ადრეულ ეტაპზეც კი, პრიმიტიული, სფერული ფორმის და ბუნებრივი წვეის ჰაერის ნაკადით მომუშავე ქურის არსებობა. ამდენად, ამ დანიშნულების ქურების კლასიფიკაციის სქემაში შესაძლებელია არ განვიხილოთ ჰაერის მიწოდების საკითხი. რაც შეეხება წარმოების წილის მოცილების ხერხს, ის თავისთავად გულისხმობს ქურის მიწისზედა ან მიწიქვეშა განლაგებას და წარმოადგენს ქურათა კლასიფიკაციის ერთი და იგივე ნიშანს.

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ მონაკვეთში, სამხრეთ კავკასიის რკინის წარმოების ღუმლებისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ ტექნოლოგიური კლასიფიკაციის შემდეგი სქემა: 1. ქურის სამუშაო ნაწილის ფორმა, 2. წარმოების წილის მოცილების ხერხი, 3. ქურის სამშენებლო მასალა, 4. კონსტრუქციული ზომების ცვლილების დინამიკა. გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, შესწავლილი ქურები მიღებული კლასიფიკაციის მეორე და მესამე ნიშნების მიხედვით ერთგვაროვანია. ამდენად, შესწავლილი ქურების გამოყოფა მიზანშეწონილია კლასიფიკაციის პირველი და მეოთხე ნიშნების მიხედვით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სწორად შერჩეულ ქურათა კონსტრუქციული ზომების ცვლილების დინამიკა, რომელიც, ღუმლის ფორმის შედარებითი მუდმივობის შემთხვევაში, პრინციპულად მეტალურგიული დანადგარის სამუშაო სქემის განვითარების და მისი წარმადობის არსებითი მაჩვენებელია. ამასთან, პირდაპირი აღდგენის პრინციპით მომუშავე მეტალურგიული ღუმლისათვის ქურის კონსტრუქცია გულისხმობს არა მარტო დანადგარის საერთო აღნაგობას, არამედ ცალკეული ტექნიკური დეტალების ტექნოლოგიურ პრინციპზე აგებულ პროპორციებს, როდესაც მათი რაოდენობრივი ცვლილება იწვევს საერთო საწარმოო ციკლის ცვლილებებს და გარკვეულად მოქმედებს დანადგარის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (Wertime, 1973. გვ. 20-21).

შახტური ტიპის ძველი ღუმელისათვის ისევე, როგორც თანამედროვე ბრძმდის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათებისათვის, დასაშვებია მიღებულ იქნეს დანადგარის სასარგებლო მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება ცივბერვითი პროცესის ქურისათვის სამუშაო მოცულობის (მ³) და მიღებული რკინის ლუგვის ან ნახშირბადიანი ფოლადის წონის (კგ) შეფარდებით, ე. ი. რკინის მიღების ცივბერვითი პროცესის შახტური ღუმლის წარმადობა გამოითვლება სამუშაო ფართობზე დამოკიდებულებით ანუ მეტალურგიული კაზმის (მადანი + ნახშირი) ხარჯის რაოდენობით წარმოებული პროდუქტის ერთეულზე. ამდენად, ცივბერვითი შახტური ღუმლის წარმადობა, კონსტრუქციული ელემენტების რაოდენობრივი ცვლილებების შემთხვევაში, ქურის სამუშაო სივრცის მოცულობის პირდაპირ პროპორციულია, კონსტრუქციული ზომების ცვლილებების დინამიკა კი ერთტიპური ქურების განვითარების სქემის ძირითადი განმსაზღვრელია.

საქართველოს ტერიტორიაზე რკინის წარმოების ღუმლების კონსტრუქციული განვითარების სქემა წარმოდგენილია ძვ. წ. II-I ათასწლეულით დათარიღებული ცივბერვითი ქურებით. აღდგენილია ქურათა გრძივი კვეთის ფორმა სამუშაო

სივრცის ზომების ზუსტი დაცვით (მონაცემები აღებულია არქეოლოგიური გათხრებით მიღებული შედეგების მიხედვით). გათვალისწინებულია გამოქვეყნებული მეტალურგიული კერის აღწერილობითი მასალა და შენიშვნები ცალკეული ქურის აღმოჩენა-დათარიღებასთან დაკავშირებით (ი. გძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი). გამოკვლეულია რკინის წარმოების შემდეგი ძეგლები:

I. ჭოროხის მეტალურგიული კერა, წარმოებით „ჭარნალი“ 1 (1.1; 1.2); 2 (2.1; 2.2); 3 (3.1; 3.2);

II. ჩოლოქ-ოჩხამურის მეტალურგიული კერა, წარმოებით „ჯიხანჯური“ 1 (1.1; 1.2; 1.3); „ცეცხლაური“ 1 (1.1). 2 (2.1); „ჯიხანჯური“ 2.1; 3.1; 4.1; „ლელვა“ 1 (1.1; 1.2);

III. სუფსა - გუბაზეულის მეტალურგიული კერა, წარმოებით „ასკანა“ 2 (2.1; 2.2); 3.3; 4.1; „მზიანი“ 2.1; 3.1; 4.1; დამატებით „ბოლნისი“ 1.1;

IV. სუფსა - გუბაზეულის მეტალურგიული კერა, წარმოებით „მშვიდობაური“ 1.1; 2.1; 4.1; „ნაგომარი“ 1 (1.1; 1.2);

ხობი - ოჩხომურის მეტალურგიული კერა, წარმოებით „ჭოლა“ 2.1; 3.1.

ქურათა კონსტრუქციული ელემენტების მიხედვით, ჩანს მათი საერთო ერთტიპურობა. ფუნქციონირების პერიოდში დაცულია ქურების ნაწილების ზომების პროპორცია და ღუმლის სამუშაო სივრცის ფორმა. აღნიშნულის დამადასტურებელ ელემენტებად შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლები:

1. ყველა ღუმლის კედლის დახრის კუთხე ვერტიკალური სიბრტყის მიმართ $70-80^\circ$ შეადგენს.

2. ღუმლის სამუშაო სივრცე საერთო კონსტრუქციული ფორმის ქურისათვის, იზრდება სიმაღლისა და საკერძეს ზომების მომატებით. შესაბამისად სიმაღლე $h=0,7-1,5$ მ ფარგლებშია, ხოლო საკერძეს გვერდის ზომა ვერტიკალურ კვეთში $d=0,6-1,2$ მ. ამ ძირითადი კონსტრუქციული ელემენტების რაოდენობრივი ცვლილებით გამოწვეული ღუმლის სამუშაო სივრცის (მოცულობის) ზრდა, ტექნოლოგიური დანაკარგების გათვალისწინებით, $v=0,20-0,90$ მ³ შეადგენს.

3. ღუმლის საერთო, შახტური ტიპის ფორმა შენარჩუნებულია ქურის სიმაღლის და საკერძეს მაქსიმალური სიგანის ფარდობის მუდმივობის დაცვით. ადრეული პერიოდის (ძვ. წ. XII-X სს.) მცირე ზომის ქურებისათვის ($h = 0,7-1,0$ მ; $d = 0,6-0,8$ მ) და მომდევნო პერიოდის (ძვ. წ. X-VIII სს.) შედარებით გაზრდილი სამუშაო მოცულობის ღუმლებისათვის ($h = 0,9-1,2$ მ; $d = 0,8-1,0$ მ) შეფარდება $h : d = 1,2$. ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების რკინის წარმოების ღუმლებში თანაფარდობა $h : d = 1,3-1,5$,

რაც გამოწვეულია ქურაში ოპტიმალური ვერტიკალური სამუშაო სიმაღლის ძიების პროცესით.

ქურათა საერთო კონსტრუქციული მსგავსებიდან გამონაკლისია „ასკანა“ 3.3. საწარმოო უბანზე მოქმედი ღუმელია, რომელიც ასახავს კარდინალურ ცვლილებებს კოლხეთის რკინის მეტალურგიული ცენტრის ფუნქციონირების ისტორიაში. ძველი თარიღდება ანტიკური ხანით და შეიცავს საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესთან დაკავშირებულ კონსტრუქციული ცვლილებების ელემენტებს, პრინციპულად განსხვავებულს წინარეანტიკური პერიოდის ქურებისაგან. მასში შეიძლება ვივარაუდოთ წარმოების წილის თვითდინებით მოცილების და მიღებული რკინის ლუგვის დამატებით დანახშირბადიან-ბისათვის განსაზღვრული სქემით მოქმედი შახტური ღუმელი (Хахутаишвили, 1987. გვ. 117). ანალოგიური კონსტრუქციული ელემენტებით და ტექნოლოგიური სქემით ხასიათდება რკინის წარმოების ქურა ქვემო ბოლნისიდან, რომელიც დათარიღებულია წინარეანტიკური ხანით (Гзелишвили, 1964. გვ. 95) და მისი ფუნქციონირების პერიოდი განისაზღვრება ძვ. წ. XIII-VII სს. ქრონოლოგიური ჩარჩოებით, უფრო სწორეა მისი ზედა დიაპაზონით (Гзелишвили, 1964. გვ. 37). „ასკანა“ 3.3 და ქვემო ბოლნისის რკინის წარმოების ქურების საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესის დიდი მსგავსების გამო, შესაძლოა ორივე ძველი ერთი პერიოდის საწარმოო ობიექტებად მივიჩნიოთ და ბოლნისის ქურის ფუნქციონირების თარიღად შემოთავაზებული ქრონოლოგიური საზღვრის ქვედა პერიოდი მივიღოთ. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური მონაცემების ქურები წარმოადგენდეს გარდამავალი საფეხურის მეტალურგიულ ძეგლებს, წინარეანტიკური და ადრე შუა საუკუნეების რკინის წარმოების შახტური ღუმლებისთვის.

საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი უძველესი რკინის მეტალურგიული წარმოების კერები ოთხ ძირითად ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა (სურ. 3.34): პირველ ჯგუფში შედის ძვ. წ. XII-X საუკუნეებით დათარიღებული და შესაბამისი $d = 0,60-0,80$ მ, $h = 0,7-1,0$ მ, $v = 0,2-0,3$ მ³ კონსტრუქციული ელემენტების ქურათა ჯგუფი. მეორე ჯგუფში თავსდება ძვ. წ. X-VIII საუკუნეებით დათარიღებული $d = 0,8-1,0$ მ, $h = 0,9-1,2$ მ, $v = 0,3-0,45$ მ³ კონსტრუქციული ელემენტების ქურები. მესამე ჯგუფი აერთიანებს ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებულ $d = 0,8-1,2$ მ, $h = 1,25-1,50$ მ, $v = 0,45-0,9$ მ³ ტექნიკური ადჭურვილობის ქურებს. მეოთხე ჯგუფში განიხილება ანტიკური ხანის

განსხვავებული კონსტრუქციის მქონე ქურები, გაზრდილი საწარმოო-ტექნოლოგიური მახასიათებლებით.

როგორც ცალკეულ ქურათა, ისე მთლიანი მეტალურგიული კერის საწარმოო ფუნქციონირების სინქრონულობა კარგად ჩანს კონსტრუქციული ელემენტების ცვლილებებისა და არქეოლოგიურად მიღებული თარიღების ერთობლივი განხილვისას (სურ. 3.35).

რკინის მეტალურგიული ქურების კონსტრუქციული ცვლილებებისა და წარმოების მასშტაბების განვითარების სქემა რკინის კულტურის ათვისება-განვითარების პროცესის დინამიკის ამსახველია (სურ. 3.36).

ძვ. წ. XII-IX საუკუნეებში სამხრეთ კავკასიის რკინის წარმოების განვითარება ერთგვაროვანი ტემპით მიმდინარეობს. ქურათა კონსტრუქციული ცვლილებები და სამუშაო სივრცის (შესაძლო საწარმოო სიმძლავრის) ზრდის მაჩვენებლები ურთიერთტოლფასია. რკინის წარმოების ცივბერვითი პროცესის ოპტიმალური მაჩვენებლების ძიება იწყება ძვ. წ. VIII საუკუნიდან და მაქსიმალურ შედეგს ძვ. წ. VII-VI საუკუნეების ბოლოს აღწევს. ძვ. წ. VI საუკუნის რკინის წარმოების შახტური ქურის საწარმოო პროცესი, თავისი შესაძლებლობებით მაქსიმალურია ერთი ფორმის და კონსტრუქციის მქონე მეტალურგიული ღუმლის მოქმედების წინაისტორიის მანძილზე.

ძვ. წ. IX-VII სს. პერიოდისათვის კოლხეთის მეტალურგიული ცენტრის საერთო საწარმოო ციკლის სწრაფი ზრდა უმაღლეს მაჩვენებლებს აღწევს ძვ. წ. VII-VI საუკუნისათვის და უკავშირდება პოლიმეტალური და მაგნეტიტური მადნეულის ბაზაზე მომუშავე ჭოროხის და სუფსა-გუბაზეულის მეტალურგიული კერების აქტიურ მოქმედებას. საწარმოო პროცესის მაქსიმალური დატვირთვა განპირობებულია შავი ზღვის მაგნეტიტური ქვიშების, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მადნეული ბაზის ათვისებით. ძვ. წ. VIII-VI სს. შესაბამისი რკინის წარმოების მაჩვენებლების ზრდა, წინა პერიოდებთან შედარებით 1 : 1,5 : 3 განისაზღვრება.

წარმოდგენილი ისტორიულ-მეტალურგიული ინფორმაცია რკინის წარმოების ობიექტების პროდუქციის და საწარმოო ნარჩენების ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზის და ქურათა კონსტრუქციული ელემენტების განვითარების დინამიკის მონაცემების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიაზე რკინის კულტურის ათვისების საერთო სქემას განსაზღვრავს (სურ. 3.37).

სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სამთამადნო ბაზის არსებობით და ფერადი ლითონდამუშავების ადგილობრივი ტრადიციების გავლით, ბრინჯაოს წარმოების

ფინალურ სტადიაზე რკინის კულტურის ათვისების ადრეული ეტაპი ფორმირდება. ადგილობრივი რკინის მეტალურგიის შექმნის პროცესი, შემდგომი უწყვეტი საწარმოო განვითარებით, სათავეს იდებს ძვ. წ. XII საუკუნიდან.

რკინის წარმოების ქურების, კონსტრუქციული ელემენტების რაოდენობრივ ცვლილებათა დინამიკის, საწარმოო მასშტაბების ზრდის და მათი მოქმედების დროის გათვალისწინებით, დადგენილია ცალკეული მეტალურგიული კერის ფუნქციონირების პერიოდი:

1. ჭოროხის მეტალურგიული კერის ფუნქციონირების ქრონოლოგიური დიაპაზონია ძვ. წ. X–VII სს; 2. ჩოლოქ-ონხამურის მეტალურგიული კერის არსებობის ქრონოლოგიური საზღვრები – ძვ. წ. XI–VII სს; 3. სუფსა-გუბაზეულის მეტალურგიული კერის ფუნქციონირების პერიოდი განისაზღვრება ძვ. წ. XII საუკუნიდან ანტიკური ხანის ჩათვლით; 4. ხობი-ონხომურის მეტალურგიული კერის მოქმედების ქრონოლოგიური საზღვრები – ძვ. წ. XI–VIII სს. ამდენად, საქართველოს რკინის მეტალურგიული კერები უწყვეტი საწარმოო ციკლით ფუნქციონირებს ძვ. წ. XII საუკუნიდან ადრეანტიკური ხანის ჩათვლით.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რკინის წარმოების ქურები, სტაციონარული შახტური ტიპის ღუმელისათვის დამახასიათებელი ფორმის შეუცვლელად, განიცდის კონსტრუქციული ზომების მუდმივ დინამიკურ ცვლილებებს, შესაბამისი საწარმოო მასშტაბების პერიოდული ზრდით. ამგვარად, რკინის მეტალურგიულ სახელოსნოთა საწარმოო-ეკონომიკური განვითარების ოთხი პერიოდი შეიძლება გამოიყოს:

1. რკინის მეტალურგიის ათვისების ადრეული პერიოდი (ძვ. წ. XII–X სს.); 2. მეტალურგიის საწარმოო ციკლის ტექნოლოგიური სრულყოფის პერიოდი (ძვ. წ. X–VIII სს.); 3. მეტალურგიული წარმოების ფართო ათვისების პერიოდი (ძვ. წ. VII–VI სს.); 4. რკინის მეტალურგიული წარმოების კარდინალურ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ გარდაქმნათა პერიოდი (ძვ. წ. V–I სს.).

საქართველოს ტერიტორიაზე რკინის კულტურის გენეზისი მისი ადრეული ათვისებიდან, რკინა-ფოლადის ნაწარმის საყოველთაო გავრცელებამდე, საწარმოო ორგანიზაციის პირობებისა და ტექნიკურ-ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა გამოყენების გარდამავალ ეტაპებს მოიცავს, რომლებიც მეტალურგიული პროცესისათვის საჭირო ნედლეულის, პროდუქციის განაწილების, მისი შემდგომი ათვისება-დამუშავების და შრომის პროცესის დიფერენცირების წესზეა დამოკიდებული.

საწარმოო საშუალებათა ძიების პირველი საფეხური მეტალურგიულ პროცესებში მაგნეტიტური ქვიშების ათვისების მომენტთან (ძვ. წ. VIII-VII სს.) არის დაკავშირებული. ახალი ნედლეულის დამატებით გამოყენების პარალელურად, მიმდინარე მეტალურგიული ქურების კონსტრუქციული ელემენტების ზომების ცვლილებები მნიშვნელოვნად ზრდის საერთო საწარმოო სიმძლავრეს, რეალურია პროდუქციის გამოშვების მასშტაბების გაფართოება.

რკინის კულტურის ფართო ათვისების პერიოდში წარმოებული შენადუდი რკინისა და ქურის ფოლადის დიდი ნაწილი, მეტალურგიული კერის სამჭედლო უბნის გარდა, ამ დროს დამოუკიდებელ საწარმოო ერთეულად გამოყოფილ, სამჭედლო სახელოსნოებში ნამზადად გადამუშავებას ექვემდებარება.

ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან, იორ-ალაზნის აუზში, კოლხეთის ტერიტორიაზე, ლითონდამუშავების წარმოების მიღწევების პარალელურად შექმნილია პროფესიონალ ხელოსანთა ფენა. ბრინჯაოს ნაწარმის სფერო სამკაულით, საკულტო საგნებით იფარგლება. იარაღი დამზადებულია რკინა-ფოლადის მასალისაგან (ფანცხავა, 1988. გვ. 90; ფიცხელაური, 1965. გვ. 54).

რკინის კულტურის ფართო ათვისების პერიოდში დაწყებული წარმოების დიფერენციაციის პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება და იხვეწება ანტიკურ ხანაში. მეტალურგიული წარმოებიდან ლითონდამუშავების პროფესიონალ ოსტატთა გამოყოფის შემდეგ დამოუკიდებელ ერთეულად ყალიბდება სამჭედლო სახელოსნო. ახალი ტიპის საწარმოო უჯრედში წინა პერიოდის ოსტატ-უნივერსალიდან ფორმირდება შედარებით ვიწრო, მაგრამ უმაღლესი კვალიფიკაციის სამჭედლო საქმის სპეციალისტი. ანალოგიური მოვლენები ვითარდება ლითონდამუშავების ყველა სფეროში.

ანტიკური ხანის საქალაქო სახელოსნოთა უბანი კი აერთიანებს ლითონდამუშავების ყველა მიმართულების მაღალკვალიფიციურ ოსტატთა სისტემას. სპეციალიზებული საწარმო-სახელოსნოს, უმაღლესი კლასიფიკაციის ოსტატის ნახელავი სასაქონლო პროდუქციის ეტალონია. ქალაქის სახელოსნოთა ნაწარმში მიღწეულია სრულქმნილების საფეხურის ზღვარი.

ამგვარად, საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. XII-I საუკუნეების რკინის კულტურის ათვისება-გავრცელების პროცესის დინამიკა ტექნიკური აზრის განვითარების აღმავალ პრინციპს ექვემდებარება; ცივილიზაციის ცალკეულ საფეხურზე განიცდის თვისებრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს შესაბამისი ტექნიკურ-ტექნოლოგიური ფლუქტუაციებით, იმპულსური ძვრებით, რომლებიც

მთლიანად კავკასიის რეგიონში შავი მეტალურგიის და ლითონდამუშავების მიღწევებს განაპირობებს.

სამხრეთ კავკასიის რკინის წარმოების ცენტრებს ძვ. წ. XII-I საუკუნეებში გარკვეული წვლილი შეაქვს ევრაზიის შავი ლითონწარმოების სისტემის განვითარებაში. ევრაზიის სისტემის რკინის მეტალურგიული და ლითონდამუშავების ცალკეული ცენტრების განვითარების ეტაპები, ცნობილი არქეოლოგიური რკინის მასალის ანალიზებზე დაყრდნობით, რამდენადმე განსხვავდება სისტემის ცალკეული რეგიონების მიხედვით.

ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური ლიტერატურის ტრადიციის მიხედვით, არსებობს წყაროთა სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც უშუალოდ ეხება ძველ მსოფლიოში რკინის მეტალურგიის ათვისების საკითხს. ამავე დროს არქეოლოგიური რკინა-ფოლადის მასალები, რომლებიც რეალურად ასახავს რკინის არტეფაქტებს, ინფორმაციას გვაწვდის მათი დამზადების ტექნოლოგიასა და გამოყენების შესაძლებლობაზე; აღნიშნული მასალა გაბნეული ძველი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მრავალფეროვანია და რკინის კულტურის ათვისების ძირითად ეტაპებს მოიცავს.

კავკასია-ევრაზიის რკინის წარმოების სისტემის ცალკეული რეგიონის და მის ტერიტორიაზე არსებული საწარმოო ცენტრების ტექნიკურ-ტექნოლოგიური უპირატესობის შედარება-გამოვლენის მიზნით, გამოიყენება ისტორიულ-ტექნოლოგიური კლასიფიკაციის ორი კრიტერიუმი: 1. რკინა-ფოლადის მიღება-დამუშავების ადრეული და 2. რკინის კულტურის სრული ცივილიზაციის (საყოველთაო გავრცელების) პერიოდები. ძვ. წ. XII საუკუნიდან და შემდგომ პერიოდში, როდესაც რკინა ეკონომიკური მნიშვნელობის ტექნიკური მასალა ხდება, შესამჩნევია ამ ორი საფეხურის განვითარების გარდამავალი ხასიათი, მისი გავრცელების არათანაბარი ტემპი. ასეთი ინფორმაცია თითოეული რეგიონისათვის, რკინის კულტურის ათვისების ორივე კრიტერიუმის მიხედვით, ევრაზიის სისტემაში მისი განვითარების ქრონოლოგიურ სურათს წარმოადგენს.

ევრაზიის სისტემაში რკინის კულტურის ათვისების ორი კრიტიკული პერიოდის შესაბამისი თარიღები მიღებულია დასახელებული რეგიონების ტერიტორიაზე აღმოჩენილი, არქეოლოგიური რკინა-ფოლადის მასალების ისტორიულ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით (Вознесенская, 1984. გვ. 163-164; Терехова, 1983. გვ. 110-111; Пясковскей, 1959. გვ. 137; Myhly et al, 1985. გვ. 79; Waldbaum, 1978. გვ. 36-37, 67-73).

1. ცენტრალური ევროპისთვის - ძვ. წ. VI ს. და ძვ. წ. I ს.;
2. აღმოსავლეთ ევროპისთვის - ძვ. წ. VIII ს. და ძვ. წ. II ს. (საბერძნეთი - ძვ. წ. IX-VI სს.);
3. სამხრეთდასავლეთ აზიისთვის - ძვ. წ. IX-VI სს.;
4. სამხრეთაღმოსავლეთ აზიისთვის - ძვ. წ. V-I სს.;
5. მცირე აზიისთვის - ძვ. წ. XII-VI სს.;
6. ამიერკავკასიისთვის - ძვ. წ. XII-VI სს.

რკინის კულტურის ათვისება-განვითარების აღნიშნული კრიტიკული და გარდამავალი პერიოდების განხილვისას როგორც რკინის მასალის ათვისების სიძველის თარიღი, ისე მისი განვითარების მიღწევის უმაღლესი საფეხურის შესაბამისი პერიოდი მნიშვნელოვანი ფაქტორია. წარმოდგენილი მონაცემებით, სამხრეთ კავკასიის რკინის მეტალურგიის და ლითონდამუშავების ცენტრები ძვ. წ. XII საუკუნიდან მჭიდროდაა დაკავშირებული ევრაზიის უძველესი რკინის წარმოების სისტემასთან. ხმელთაშუა ზღვის და მცირე აზიის რეგიონების ისტორიულ-ეკონომიკურ გაერთიანებაში სამხრეთ კავკასია ადრეული რკინის წარმოების ათვისება-განვითარების ერთ-ერთი ძირითადი რგოლია. მნიშვნელოვანია მისი საწარმოო პოტენციალი ძვ. წ. X-VIII საუკუნეებში. რკინის კულტურის განვითარების მეორე კრიტიკული პერიოდი შეესაბამება ძვ. წ. VI საუკუნეს, რეგიონში რკინის ფართო ათვისების ხანას.

3.4.3. რკინა-ფოლადის ნაწარმი

გვიანბრინჯაოს ხანის ევრაზიის პალეომეტალურგიის სისტემაში შემავალი ლითონდამუშავების ცენტრები ერთდროულად აწარმოებს სამი სახის ლითონურ მასალას: ბრინჯაოს, მეტეორიტულ და მიწიერ რკინას. ორი უკანასკნელი მეტად ფასობს, ძნელი მოსაპოვებელი და დასამუშავებელია. როგორც მეტეორიტული (რკინა-ნიკელის ბუნებრივი შენადნობისაგან მიღებული), ისე წარმოების რკინისაგან დამზადებული ნივთები ძვირფას იშვიათობად რჩება, მათ იყენებენ ფუფუნების და სარიტუალო დანიშნულების საგნების დასამზადებლად, იშვიათად იარაღის ფუნქციით. მცირეა ამ პერიოდში მოპოვებული არქეოლოგიური რკინის მასალა (გიორგაძე 1988, გვ. 253; Muhly et al 1985, გვ. 70-71; Waldbaum 1978).

ამავე დროს, ბრინჯაოს, როგორც ტექნიკურ მასალას, უპირატესობა ენიჭება რკინასთან შედარებით. ფართოა მისი წარმოების მასშტაბები. ხარისხიანი ბრინჯაოსაგან მზადდება ძირითადი სახეობის საომარი და სამეურნეო

დანიშნულების იარაღი. ეს მოვლენა განპირობებულია ძველი ბრინჯაოსათვის კომპლექსური დამუშავებით მინიჭებული მექანიკური თვისებების უპირატესობით, ათვისების პერიოდში მყოფი ახალი მასალის (რკინის) მიმართ. ცივი და ცხელი ჭედვით დამუშავებული კალიანი ბრინჯაოს მექანიკური თვისებების მაჩვენებლები მაღალია შენადული რკინისა და დაბალნახშირბადიანი თერმული დამუშავების გარეშე დამზადებულ ფოლადთან შედარებით.

წინა აზია - ხმელთაშუა ზღვის რეგიონისათვის ნიშანდობლივია, ბრინჯაო-რკინის წარმოების გარდამავალ პერიოდში, მეტეორიტული რკინის გამოყენების ტრადიცია. კავკასიის რეგიონში მოპოვებული, არქეოლოგიური რკინის მასალის ქიმიურ-ტექნოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მიღებული მონაცემებით, მეტეორიტული რკინის გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ არის დადასტურებული. სამხრეთ კავკასიის მეტალურგიული ცენტრები შავი ლითონის ათვისებას იწყებს მეტეორიტული რკინის გაცნობის გარეშე. რკინა-ნიკელის ბუნებრივი შენადნობისაგან ნაკეთი ნივთები არ ჩანს იმპორტის სახითაც. ამდენად, ძნელი წარმოსადგენია მეტეორიტული რკინის დამუშავების ემპირიული გამოცდილების გავლენა ადგილობრივი რკინის კულტურის ათვისების პროცესზე. შეიძლება ვთქვათ, რომ ამიერკავკასიაში ძვ. წ. II ათასწ. მეორე ნახევრიდან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული, ადგილობრივი ბრინჯაოს წარმოების პროცესში ისახება შავი მეტალურგიისა და ლითონდამუშავების ათვისება-განვითარების საწყისები, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში რკინის უწყვეტი წარმოების ფორმირებას განიცდის.

საქართველოს ტერიტორიაზე რკინა-ფოლადის არტეფაქტების შემცველი ძეგლები (სამარონები, სამოსახლოები, ნაქალაქარები) აღმოჩენილია ცენტრალურ და დასავლეთ ამიერკავკასიის რეგიონებში. მიკვლეული რკინის მასალიდან დიდი ნაწილი დაექვემდებარა კომპლექსურ ტექნოლოგიურ გამოკვლევას (სურ. 3.38).

ცენტრალურ ამიერკავკასიაში ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში უძველესი რკინის ნივთები გვხვდება მცირე ზომის სამკაულის ან გაურკვეველი ფორმის ფრაგმენტების სახით, რომელთა გამოჩენა სამარხეულ კომპლექსებში რკინის მასალის გაცნობის პერიოდის შესატყვისია (აბრამიშვილი 1961, გვ. 350).

ძვ. წ. XII-XI სს. რკინის ნაწარმი

რკინის ინვენტარის ტექნოლოგიური ანალიზის შედეგებიდან გამოიყოფა ბეშთაშენის და სამთავროს სამარონების რკინის მასალა, რომელიც რკინის ათვისების ადრეულ საფეხურს განეკუთვნება (სურ. 3.38, 22, 25):

1. სატევარი (ბეშთაშენი, ჩაგულოვის კომპლექსი სურ. 3.39, 1). მიკროსტრუქტურის მიხედვით, იარაღის მჭრელ ნაწილში დაფიქსირებული, ნახშირბადის შემცველობა 0,3%-ია. ნივთი დამზადებულია დაბალი სისაღის ფოლადისაგან, მარტივი თავისუფალი ჭედვით (სურ. 3.40, 1);

2. სატევარი (ბეშთაშენი, სამარხი №18; სურ. 3.39, 2). მიკროსტრუქტურულად წარმოდგენილია ფერიტი და პერლიტი. ნახშირბადის შემცველობა 0,25–0,3%-ს აღწევს. ნივთი მიღებულია თავისუფალი ცხელი ჭედვით, ქურის რბილი ფოლადისაგან (სურ. 3.40, 2);

3. დანა (ბეშთაშენი, სამარხი №13; სურ. 3.39, 3). ნივთი დამზადებულია დაბალი სისაღის ფოლადისაგან. ნახშირბადის შემცველობა 0,3%-ია (სურ. 3.40, 3);

4. დანა (სამთავრო, სამ. №51, №1111; სურ. 3.39, 4). მიკროსტრუქტურა წვრილმარცვლოვანია, ნახშირბადის შემცველობა 0,3%. ნივთი მიღებულია დაბალი სისაღის ფოლადისაგან (სურ. 3.40, 4);

5. მახვილი (სამთავრო, სამ. №211, №4486; სურ. 3.39, 5). მიკროსტრუქტურა წარმოდგენილია ვიდმანშტეტური ორიენტაციის ფერიტით და პერლიტით. ნახშირბადის შემცველობა 0,5–0,6%-ია. ფოლადში ნახშირბადის შედარებით მაღალი პროცენტული შემცველობა და სტრუქტურის ვიდმანშტეტური ორიენტაცია, ნივთის ჭედვა-ხურების პროცესში გაუცნობიერებელ ტექნოლოგიურ მოვლენას, ზედაპირულ ცემენტაციას უნდა ასახავდეს (სურ. 3.40, 5).

როგორც ჩანს, ძვ. წ. XII-XI საუკუნეების რკინის ნივთების დამზადების ტექნოლოგიური სქემა ერთბაშად, გამოირჩევა მასაღის სტრუქტურული არაერთგვაროვნებით. გამოყენებულია მცირე ნახშირბადიანი ფოლადი და შენადული რკინა. შესაბამისად, დაბალია მათი მექანიკური მაჩვენებლები (ცხ. 3.9, 1). წარმოდგენილი მიკროსტრუქტურული თავისებურება ადრეული რკინის ხანის მეტალურგიულ ცივსაბერ ქურაში მიღებული შავი ლითონისათვის ტიპურ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.

ცხრილი 3.9

ძვ. წ. XII-XI სს. რკინის ინვენტარის ქიმიური და სტრუქტურული მონაცემები*

№	ნივთი	საინვენტარო №	ქიმიური შედგენილობა, %				სტრუქტურა	სისაღე HB
			C	Mn	Si	Ni		
1	სატევარი	ჩაგულოვის კომპლექსი	0,3	–	–	–	ფ + პ	150
2	სატევარი	ბეშთაშენი, სამ. №18	0,25	–	0,03	0,05	ფ + პ	125
3	დანა	ბეშთაშენი, სამ. №13	0,3	0,01	0,02	0,07	ფ + პ	135
4	დანა	სამთავრო, სამ. №51	0,2	0,03	0,09	0,05	ფ + პ	120
5	მახვილი	სამთავრო, სამ. №211	0,5	–	0,05	0,03	ფ + პ	210

* სტრუქტურული მდგენელები: ფ - ფერიტი; პ - პერლიტი.

უცნობია თერმული დამუშავების პროცესი. მეტალურგიული ქურის მინიმალური სამუშაო სივრცის პირობებში არასაკმარისია მიღებული რკინის ლუგვის დანახშირბადიანების ხარისხი. ნახევარფაბრიკატი შენადული რკინა ან მცირენახშირბადიანი ფოლადია. ლითონში ამ უკანასკნელის არათანაბარი განაწილება ნაწარმის დაბალ მექანიკურ თვისებებს განსაზღვრავს.

შესწავლილი შავი ლითონის მასალის მიხედვით, ადრეული რკინის პერიოდი (ძვ. წ. XII-XI სს.) ხასიათდება ლითონდამუშავების საერთო არასტაბილურობით, ნივთების მარტივი ფორმით და თავისუფალი ცხელი ჭედვის მეთოდების გამოყენებით, რაც სრულად ასახავს რკინის საწარმოო ათვისების საწყისი ეტაპის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს (აბრამიშვილი 1957, გვ. 137; 1961, გვ. 357; აბრაშიშვილი, 1988, გვ. 20).

ძვ. წ. X-VIII სს. რკინის წარმოება

ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რკინის წარმოების განვითარების მეორე საფეხურის ამსახველი შავი ლითონის მასალის შემცველი ძეგლებიდან, ქიმიურ-ტექნოლოგიურად შესწავლილია სამთავროს, თრიალეთის, ჩითახევის, წოფის და თლის სამაროვნებიდან მომდინარე რკინის ნივთები (სურ. 3.38 - 13, 16, 23, 26, 28). რკინის ინვენტარი შედგება შემდეგი კატეგორიის მასალისაგან: ცული, შუბისპირი, სატევარი, მახვილი, დანა (თავაძე და სხვ., 1959, გვ. 6-15; თავაძე და სხვ., 1964, გვ. 274; თავაძე და სხვ., 1977, გვ. 10, 16). სამთავროს სამაროვანზე ძვ. წ. X-VIII სს. რკინის შემცველი ორმოსამარხებიდან განხილულია მეორე (ძვ. წ. XI-X), მესამე (ძვ. წ. IX-VIII სს.) და მეოთხე (ძვ. წ. VIII-VII სს.) ქრონოლოგიური ფენის შესაბამის რკინის ინვენტარი.

თრიალეთისა და წოფის სამაროვნიდან შესწავლილია ძვ. წ. X-VIII სს. ორმოსამარხების რკინის იარაღი, ჩითახევის სამაროვნიდან ამ პერიოდის შესაბამისი ორმოსამარხების რკინის ინვენტარი.

თლიას სამაროვანზე აღმოჩენილი კომპლექსებიდან შეირჩა ქრონოლოგიურად პირველი (ძვ. წ. X-IX სს.) და მეორე ეტაპების (ძვ. წ. VIII-VII სს.) სამაროვნიდან მომდინარე რკინის ნივთები (Вознесенская, 1973, გვ. 154-155; Техов, 1972, გვ. 29).

ძვ. წ. X-VIII სს. დათარიღებული რკინის ინვენტარის ტექნოლოგიური დახასიათება მოცემულია მეტალოგრაფიული, სპექტრული ანალიზების და მექანიკური თვისებების მახასიათებლებით. ნაჩვენებია მათი დამზადების ტექნოლოგიური აქემის ძირითადი ელემენტები (სურ. 3.41; ცხრ. 3.10).

როგორც გამოკვლეული რკინის მასალის ტექნოლოგიური მონაცემებიდან გაირკვა, ძვ. წ. X-VIII სს. რკინის წარმოება, წინა ადრეულ პერიოდთან შედარებით, მკვეთრი სიახლეებით გამოირჩევა. გაზრდილია შავი ლითონის სამომხმარებლო ასორტიმენტი, რამდენადმე რთულია რკინის ნივთების დამზადების ტექნოლოგიური სქემა, რაც სამჭედლო საქმის დაწინაურებას გულისხმობს. შენადული რკინის ლუგვის პირველადი, ცხელი დეფორმაციით დამუშავების შემდეგ, მრავალჯერადი ჭედვის პროცესით, მიღწეულია ლითონში წილის ჩანართების საგრძნობი შემცირებისა და ქურაში დანახშირბადიანებული ფოლადის ნამზადში ნახშირბადის გათანაბრების პირობები. ნიშანდობლივია ჯერ მარტივი, შემდეგ კი რთული სამარჯვებისა და ტვიფრების გამოყენების ტენდენცია. შესამჩნევია რელიეფური სიმაგრის წიბოების, მკვეთრად გამოსახული ქედის და ნივთის საერთო სიმეტრიული ფორმების მიღება-გამოყვანის (გამოჭედვის) დიდი ოსტატობით შესრულების ხელოვნების ფორმირების პროცესი.

შესწავლილი ნივთების უმეტესი ნაწილი დამზადებულია გაუმჯობესებული ტექნოლოგიური სქემით; გამოყენებულია საშუალო სისალის ფოლადი, რომლის მაჩვენებლები, ნახშირბადის შემცველობის შესაბამისად, 145-220 HB დიაპაზონში იცვლება (ცხრ. 3.10).

ნივთების ერთი ნაწილი (მახვილი, სატევარი, ცული) პლასტიკური დეფორმაციის შემდეგ დაექვემდებარა ქიმიურ-თერმული დამუშავების პროცესს. მჭრელი პირის განივკვეთში, რბილი ფოლადისათვის დამახასიათებელი, შედარებით პლასტიკური მონაცემების მქონე ცენტრალური ნაწილი დაფარულია მაღალი სისალის ფოლადის ფხა-მახვილობის და ცვეთამდეგი თვისების მქონე ზედაპირით. ნივთები ხასიათდება კარგი მექანიკური მაჩვენებლებით, დაცემენტებულ ზონაში ნახშირბადის დიფუზიის ხარისხის მიხედვით სისალეა 155-240 HB.

